



დამტკიცებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით
27 თებერვალი 2023

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტთა კრეატიული ინკუბატორის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კრეატიული ინკუბატორის (შემდგომში „ინკუბატორი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულის შემადგემელ ნაწილს.

მუხლი 2. მისია

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კრეატიული ინკუბატორის მისიას წარმოადგენს სტუდენტებს შორის ინოვაციების, თანამშრომლობისა და შემოქმედების ხელშეწყობა დამხმარე გარემოს შექმნით გზით, სადაც მათ შეუძლიათ განავითარონ და პრაქტიკაში განახორციელონ საკუთარი შემოქმედებითი იდეები. ინკუბატორი მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის როგორც საკუთარი მისწრაფებების გააზრების ხელშეწყობას, ასევე მათი უნარების, კრეატიულობისა და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას.

მუხლი 3. მიზნები

1. სტუდენტთა კრეატიული ინკუბატორის მიზნებია:

ა) **კრეატიულობის წახალისება:** სტუდენტებისათვის შემოქმედებითი სივრცის უზრუნველყოფა, სადაც სტუდენტებს ექნებათ საშუალება განავითარონ შემოქმედებითი იდეები ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: ხელოვნება, ტექნოლოგიები, ბიზნესის ინოვაციები, სოციალური მიმართულება და სხვა.

ბ) **თანამშრომლობის ხელშეწყობა:** სტუდენტებს შორის ინტერდისციპლინარული თანამშრომლობის უზრუნველყოფა და ერთობლივ პროექტებზე მუშაობის ხელშეწყობა, მრავალფეროვანი პერსპექტივების გაჩენისა და უნარების განვითარების მიზნით.

გ) **რესურსებით უზრუნველყოფა:** შემოქმედებითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში ხელშეწყობა სამუშაო სივრცით უზრუნველყოფითა და მენტორინგის, დაფინანსების წყაროებსა და სხვა საჭირო რესურსებზე წვდომის გაზრდის საშუალებით.

დ) **მეწარმეობის ხელშეწყობა:** სტუდენტების შემოქმედებითი იდეების განხორციელებისა და მდგრად საქმიანობად გარდაქმნისათვის საჭირო უნარ-ჩვევების მიწოდება სამეწარმეო აზროვნების განვითარების მიზნით.

ე) მრავალფეროვნების ხელშეწყობა: სტუდენტებს შორის იდეების მრავალფეროვნებისა და შემოქმედებითი გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობა, თვითოეული სტუდენტისათვის ინკლუზიური გარემოს შექმნის გზით.

მუხლი 4. სტრუქტურა

1. ინკუბატორს ზედამხედველობას გაუწევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული გუნდი, რომლის შემადგენლობაში იქნება როგორც შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, ასევე ინდუსტრიის პროფესიონალები და სტუდენტთა წარმომადგენლები.
2. ხელმძღვანელი გუნდის პასუხისმგებლობა მოიცავს პროექტის შეფასებას, რესურსების განაწილებასა და ინკუბატორის ზოგად მართვას.

მუხლი 5. წევრობა

1. ინკუბატორი ღიაა ყველა შემოქმედებით, ინვოციებითა და თანამშრომლობით დაინტერესებული სტუდენტებისთვის/პროფესიული სტუდენტებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის სხვადასხვა დისციპლინაში.
2. წევრები შეირჩევიან სააკლიკაციო პროცესით, რაც უზრუნველყოფს ახალგაზრდების მრავალფეროვან და დინამიურ ჯგუფს.

მუხლი 6. სამუშაო გარემო:

ინკუბატორი უზრუნველყოფს სპეციალურად განსაზღვრულ სამუშაო გარემოს, რომელიც აღჭურვილია პროექტის შემუშავება/განვითარებისთვის საჭირო ტექნიკური რესურსებით.

მუხლი 7. ღონისძიებები და სემინარები

ინკუბატორის წევრების უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად მოეწყობა მოწვეული სპიკერებისა და ინდუსტრიის ექპერტების ჩართულობით შემუშავებული ღონისძიებები, ვორქშოპები და სემინარები.

მუხლი 8. პროექტის დაფინანსება

ინკუბატორის ფარგლებში დაგეგმილია ფონდის შექმნა პერსპექტიული/ინოვაციური პროექტების ფინანსური მხარდაჭერისთვის. დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება საპროექტო წინადადებებისა და პოტენციური შედეგების გააზრების საფუძველზე.

მუხლი 9. ქცევის კოდექსი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური შემოქმედებითი ინკუბატორის წევრებს მოეთხოვებათ ქცევის კოდექსის დაცვა და დარღვევების შესამლოა გამოიწვიოს ინკუბატორის მიერ მინიჭებული პრივილეგიების ჩამორთმევა.



მუხლი 10. დებულების დამტკიცება

1. აღნიშნული დებულება ყოველწლიურად განიხილება ლიდერთა გუნდის მიერ. მისი ცვლილება შესაძლებელია ინკუბატორისა და მისი წევრების განვითარების საჭიროებების შესაბამისად.
2. წინამდებარე დებულება დამტკიცებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

